სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

№ 14 (4553) • 27 სექტემბერი • 2017 წელი • • • • • გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით • ფასი 1 ლარი •

ბედნიერი იყოს 2017-2018 სასწავლო წელი!

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა – გილოცავთ!

166-ე საჯარო სკოლა

სიყვარული, გულწრფელობა და ზრუნვა – გარემო მოსწავლეთათვის

მისთვის ყოველი სამუშაო დღე სკოლასა და ბავშვებზე ზრუნვით იწყება. განათლებით ქიმიკოსია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, თბილისის 29-ე საჯარო სკოლაში დაიწყო მუშაობა. 2007 წელს დირექტორთა შესარჩევ კონკურსში რეიტინგით მეშვიდე იყო. 166-ე საჯარო სკოლა იმ პრინციპით აირჩია, რომ იმ პერიოდისთვის სკოლას დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მართავდა. ქალბატონი ირმა მიიჩნევდა, რომ მოქმედი დირექტორისთვის კონკურენცია არ უნდა გაეწია. საბედნიეროდ, პედაგოგთა კოლექტივმა ნდობა გამოუცხადა და **ირმა ომანაძე** ამ სკოლაში უკვე მეორე ვადით არჩეული სერთიფიცირებული დირექტორია. როდესაც მასწავლებელთა გამოცდები დაიწყო, ქალბატონმა ირმამ გადაწყვიტა, თავად ყოფილიყო მაგალითი იმისა, რომ დაუძლეველი არაფერია და ქიმიის უფროსი მასწავლებლის სტატუსი მოიპოვა.

მე-11 წელია დიდი შემართებით ხვდებიან სასწავლო წლის დაწყებას. სკოლაში 1497 მოსწავლეა, 5 პირველი კლასი კი 126 პატარას მასპინძლობს. 2016-17 სასწავლო წელს 112 კურსდამთავრებულიდან 9 ოქროსმედალოსანი – **ლუკა გაბედავა, ელენე ზანგურაშვილი, სალომე ნოზაძე, მარიამ უჯმაჯურიძე, ნინო სულაბერიძე, დავით ბადრიძე, ციცი მაისურაძე, თამარ ჭელიძე, ანა ჭირაქაძე** და 4 ვერცხლის მედლის მფლობელი ჰყავდათ – **თამარ ლექვინაძე, ანამარია ალიხანაშვილი, ლალი მექერიშვილი, ალექსანდრე ჯიქურიძე**.

მე-7 კლასის მოსწავლე **ლაშა მიხელიძე** პროექტ „ეტალონის“ ფინალური თამაშის მონაწილე გახლდათ. სკოლის ისტორიკოსთა კლუბის **„ექსცესი“**-ს წევრები მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული არქივის მიერ ორგანიზებულ კონკურსში – „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა“ და ვიცე-ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

166-ე საჯარო სკოლა, განათლების სამინისტროს პროექტით, პირველი საპილოტე სკოლაა, სადაც 2013 წლიდან ფუნქციონირებს აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებული კლასი, სადაც 10 მოსწავლე ირიცხება და 6 სპეციალისტი – ფსიქოლოგი, 2 სპეც. მასწავლებელი, 2 დამხმარე სპეციალისტი და ერთი საგნის მასწავლებელი – ემსახურება. ძალიან წარმატებული პროექტია. განათლების სამინისტრო მთლიანად აფინანსებს მას, ინტეგრირებული კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, წლის განმავლობაში გამოყოფს თანხას და იმ სასწავლო რესურსებსა და თვალსაჩინოებას განაახლებს, რაც აუტისტ მოსწავლეებს სჭირდებათ.

სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა. გაწერილია სამუშაო გეგმა და ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ ამა თუ იმ პროექტის მაღალ დონეზე განხორციელებისთვის, ესენია: ქართული ენისა და ლიტერატურის – **თამარ ხომასურიძე**, მათემატიკა-ისტორიის – **ეკა მამულაშვილი**, საბუნებისმეტყველოს – **ელენე ჯულაყიძე**, საზოგადოებრივი მეცნიერებების – **თამარ ლობჯანიძე**, უცხო ენების – **მარინე ფურცხალავა**, ესთეტიკური აღზრდის – **მაგდანა მდივანი**, დაწყებითი საფეხურის – **მაია ლასხიშვილი**, სპორტის – **გიორგი გურგენიძე**.

I5 კლასის დამრიგებელი — ხათუნა გურესაშილი

სასწავლო-აღმზრდელობითი გარემო და განწყობა ჩინებულია. საგაკვეთილო პროცესი საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული რომ გახადონ, თავს არ ზოგავენ უფროსი მასწავლებლები: ქართული ენისა და ლიტერატურის – **ლალი ტურიაშვილი, მზია ლაბაძე, ეკატერინე ლაფაჩი, რიტა ჩაჩუა, მერი ცეცხლაძე, ნინო მაისურაძე, დალი ჭეიძე**; მათემატიკისა – **ქეთევან კენჭიაშვილი, იზოლდა ბელთაძე, მაია ბუჯიაშვილი, თამარ ესიტაშვილი, მაია კაკაურიძე, ეკა მამულაშვილი, ქეთევან ვერულაშვილი**; ინგლისური ენისა – **თინათინ მაისურაძე, ნანა რუხაია, მარიამ მეტრეველი, ნანა იოსელიანი, ნატა ქევხიშვილი**; რუსული ენისა – **ნინო გიორგაძე, ტატიანა კვაჭანტირაძე, ქეთევან ჟღენტი, ლია სირაძე, ხათუნა სირაძე, ხათუნა ტყეშელაშვილი, მარინე ფირცხალავა**; ქიმიისა – **მანანა ვარდიაშვილი, ელენე ჯულაყიძე, ირმა ომანაძე**; **გალინა ქადაგიშვილი** (ფიზიკა), **მარინე კაპანაძე** (ბიოლოგია), სამოქალაქო განათლებისა – **ბარბარე ქებაძე, თამარ ლობჯანიძე**; ისტორიისა – **ბარბარე ქებაძე, მარინე მაღლაფერიძე, თამარ ლობჯანიძე**; **მაია ხინგავა** (გეოგრაფია), **ნინო როსტომაშვილი** (მუსიკა), **ირმა გოცირიძე** (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება).

მეოთხე სასწავლო წელია ამ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ორი პედაგოგი – **დალი ჭეიძე** და **დოდო ხუციშვილი, „ასწავლე საქართველოსთვის“** სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, **„ქართული, როგორც მეორე ენა“** წალკის რაიონის სოფელ ხაჩკოვში წარმატებით უძღვებიან თავიანთ საქმეს და უკვე მოსწავლეთა სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურეს.

წლევანდელ სასწავლო წელს, საზოგადოების ყურადღება მიიპყრო განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **ალექსანდრე ჯეჯელავას** მიერ გამოცხადებულმა ინიციატივამ, სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების შესახებ. 166-ე საჯარო სკოლა ერთ-ერთია იმ 10 საპილოტე სკოლიდან, სადაც ოქტომბრიდან ვაშლი დარიგდება. კვირაში ერთხელ, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით, სკოლაში მათთვის განკუთვნილ ვაშლს დაარიგებენ. თითოეულის წონა 150 გრამზე ნაკლები არ უნდა იყოს, გარეცხილი და სათითაოდ შეფუთული იქნება. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მხოლოდ ჭურჭელი. რეკომენდებულია დაწნული კალათები, რომლებიც განთავსდება დერეფნებში. შეზღუდვა არ იქნება, მოსწავლეს შეუძლია აიღოს არა ერთი, არამედ სამი ვაშლიც, კალათები იდგმება კვირის განმავლობაში, სანამ ვაშლი გამოილევა. ბუნებრივია, დაცული იქნება ჰიგიენური ნორმები, სკოლამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა, რომ ხილი არ დაზიანდება და არ დაბინძურდება. პილოტირების პროცესში შეირჩა მხოლოდ 10 სკოლა და, თუ ეს პროექტი წარმატებული აღმოჩნდება, განათლების სამინისტრო ყველა სკოლაში გეგმავს მის დანერგვას, მნიშვნელობა არ ექნება მცირეკონტინგენტიანია სკოლა თუ – არა. როგორც ქალბატონი ირმა აღნიშნავს, ოჯახების ეკონომიური ფონი საკმაოდ განსხვავებულია და ეს ჯანსაღი საკვების კარგი ფორმით მიწოდებაა, სახალისოც არის და ბავშვში გარკვეული კულტურის ჩამოყალიბებასაც უწყობს ხელს.

სკოლაში, უკვე ტრადიციად ქცეული, რამდენიმე ღონისძიება ხორციელდება. მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, წელიწადში 2-ჯერ მაინც საკვებითა და ტანსაცმლით ეხმარებიან მიუსაფარ ბავშვებსა და მოხუცებს. წელიწადში ერთხელ ტარდება მოსწავლეთა ხელნაკეთი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა და თავიანთი წვლილი შეაქვთ **ბერ ანდრიას** ფონდში.

სკოლას ჰყავს პედაგოგთა კვარტეტი: **ეკა მამულაშვილი, ია ცუცქირიძე, ქეთევან ჟღენტი** და **მარინა თავართქილაძე** (ხელმძღვანელი), რომლებიც ოქტომბერში ფილარმონიაში, **ვაჟა დურგლიშვილის** შემოქმედებით საღამოზე არიან მიწვეულები. იჯარით გაცემულ ფართზე მოღვაწეობს ანსამბლი **„საგალობელი“**, რომელსაც ხელმძღვანელობენ **მაია** და **რამინ მიქაბერიძეები**.

სკოლის მართვისა და პროფესიული განვითარებისათვის, წარმატებისა და ლიდერობისთვის, მუხლჩაუხრელად შრომობს მთელი კოლექტივი. ამ საქმეში ყოველთვის ქალბატონი ირმას გვერდით არიან დირექტორის მოადგილეები **მაია კაკაურიძე** და **ნინო როსტომაშვილი**. აქ არც სტუმრის პატივისცემა ეშლებათ. მართალია, ერთ შენობაში ორი სკოლის თანაარსებობა სირთულეებს ქმნის, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია მასპინძლობენ მე-100 საჯარო სკოლას, რომლის შენობის მშენებლობაც წარმატებით ხორციელდება და იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში საკუთარ ჭერქვეშ იზეიმებენ სასწავლო წლის დაწყებას.

„მიხარია, რომ ჩემს სკოლაში სიყვარული და გულწრფელობა სუფევს, არის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემო. თუმცა, გული მწყდება, რომ ბევრი რამ შეიძლება ვერ მოვასწრო ჩემი ვადის ამოწურვამდე“ – ამბობს ქალბატონი ირმა, რომელიც თავისი გულწრფელობითა და საქმისადმი ერთგულებით მართლაც რომ გამოირჩევა და იმედი გვაქვს, ამ სასწავლო წელს, როგორც ყოველთვის, 166-ე საჯარო სკოლის კოლექტივი, დიდი წარმატებით განახორციელებს დაგეგმილ სიახლეებს, ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმასა თუ სხვა დამატებით აქტივობებს.

ნათია გურგენიძე

მერი ათანასოვა
პედაგოგი

ხმა მარადისი

მერხზე გაშლილი წიგნი
მიხმობს ბარის და მთისკენ,
სულში იღვრება სხივი –
მასწავლებელო, გისმენ!

რვეულზე მელნის პწკარი,
მიხმობს მეშვიდე ცისკენ,
სული მევსება ლხენით –
მასწავლებელო, გისმენ!

დაფაზე ცარცი მღერის,
სტრიქონი მიქრის ცისკენ,
მზედ ეფინება პწკარებს –
მასწავლებელო, გისმენ!

შენი დაღლილი მზერა
გულს იმედებით მივსებს,
დროთა სიღრმიდან მესმის –
მასწავლებელო, გისმენ!

და არ მელევა ფიქრი,
ფიქრი მიფრინავს მზისკენ,
არ დასრულდება, არა –
მასწავლებელო, გისმენ!

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ახალ სასწავლო წელს — ახალი გეგმები

ცოდნა – უპირველეს ყოვლისა

თბილისის მე-9 საჯარო სკოლა ახალ სასწავლო წელს განახლებული ინფრასტრუქტურით შეხვდა. აქ შესვლისთანავე მოიხიბლებით სასიამოვნო ინტერიერითა და მოწესრიგებული საკლასო ოთახებით. სკოლის დირექტორის **მარინე გიგაურის** დიდი ძალისხმევით, ბოლო წლებში სკოლამ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. შესანიშნავი პედაგოგიური კოლექტივის მეოხებით, აქ მუდამ ჯანსაღი ატმოსფეროა და პოზიტიური განწყობა სუფევს. მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტსა და ოლიმპიადაში, საიდანაც გამარჯვებულები და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან.

15 სექტემბერს სკოლაში ტრადიციულად საზეიმო ღონისძიება გაიმართა. მოწვეულმა ზღაპრის გმირებმა ნამდვილი დღესასწაული მოაწყვეს, გაამხიარულეს პატარები და სასიამოვნო განწყობა შექმნეს. სკოლის დირექტორმა მოსწავლეებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა. შემდეგ კი დააჯილდოვა მუსიკალური ღონისძიების ორგანიზატორი **ნანა ზარქუა**, წარჩინებული მოსწავლეები და საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები, რომლებმაც ნაყოფიერი საქმიანობით გამოიჩინეს თავი.

მე-9 სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესსა და განხორციელებულ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე თავად დირექტორი მოგვითხრობს.

მარინე გიგაური: „სასწავლო წელს დიდი სიხარულით შევხვდით და საინტერესო გეგმები გვაქვს. გასული წელი ნაყოფიერი იყო. ჩვენი კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებლებში მაღალი ქულებით ჩაირიცხნენ. ასევე, გვყავდა ერთი მედალოსანი **ანა ლაზარიდი**, რომელიც სრული დაფინანსებით ჩაირიცხა თავისუფალ უნივერსიტეტში. იმედია, სამომავლოდ უფრო მეტი წარჩინებული მოსწავლე გვეყოლება. ჩვენი სკოლა ძლიერი პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, საასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი შესანიშნავად მიმდინარეობს და მაღალ

როგორც უკვე აღვნიშნე, სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა განათლებას და მათი თვითშეგნების ამაღლებას. მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა და, ამიტომ, სკოლა სამცვლიან სწავლებაზე გადავიდა. ამჟამად, 850 მოსწავლეა; 4 პირველი კლასია, სადაც 106 პატარა ეუფლება ცოდნას. მოსწავლეებს სკოლის ფორმები აცვიათ. სასიხარულოა, რომ სკოლას მიენიჭა „დინამოს“ გამოჩენილი მწვრთნელის **ნოდარ ახალკაცის** სახელი. ეს ჩვენთვის დიდი პატივია და ამისთვის საჯაროდ ვუხდით მადლობას ყველას, ვინც ამ საქმეში გვერდში დაგვიდგა. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად საგანგებოდ მონტდა სპორტული დარბაზი, დერეფნები, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, კანცელარიის და რესურსოთახები. გასაკეთებელი კიდევ ბევრია და სამომავლოდ დაგეგმილია საკლასო ოთახების, ბიბლიოთეკისა და სველი წერტილების მოწესრიგება. ვემზადებით. მეამაყება, რომ კარგი და ძლიერი კოლექტივი მყავს და მასთან ერთად მუშაობა და დაღლაც სასიამოვნოა. ძალიან გვიყვარს ჩვენი საქმე და ძალ-ღონეს არ ვიშურებთ იმისთვის, რომ ჩვენი სკოლა დედაქალაქში ერთ-ერთი წარჩინებული იყოს“.

მე-9 სკოლაში ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები, ლიტერატურული თუ მუსიკალური საღამოები. ამჟამად, მიმდინარეობს მზადება თბილისობისთვის, რომელიც გლდანი-ნაძალადევის გამგეობის ინიციატივით გაიმართება და მუსიკის პედაგოგი **ნანა ზარქუა** და სკოლის მოსწავლეები საათნახევრიანი პროგრამით წარსდგებიან.

იმედია, ახალი სასწავლო წელი კიდევ უფრო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იქნება. წარმატებებს და ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს.

მზია გოგოძე

ხელოვნების სკოლა – „აფხაზეთი-2“

ზაფხულშიც დასაქმებულნი იყვნენ

აგვისტოს დასაწყისში ვესტუმრე ჩემს მეგობარს – აფხაზეთის სოციალური უზრუნველყოფის ყოფილ მინისტრს, ამჟამად აფხაზეთის პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარეს **შალვა წულეისკირს**. მისგან შევიტყე, რომ ივლისში, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილის ქალბატონ **ეთერ მათურელის** ინიციატივითა და ამავე პროფკავშირების ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ერთ-ერთ გამორჩეულ მხარეში – გუდამაყარში გაემგზავრნენ თბილისში ფუნქციონირებადი ხელოვნების სკოლის **„აფხაზეთი-2“**-ის მოსწავლეები, მათი მშობლები და პედაგოგები, რომელთა უმრავლესობა აფხაზეთიდან დევნილია.

ჩვენი გაზეთის მკითხველებს მსურს, უპირველეს ყოვლისა, მოვახსენო ამ სასწავლებლის საქმიანობის შესახებ. იმაზე, რომ სკოლის შრომისმოყვარე და წარმატებულ კოლექტივს სათავეში უდგას ახალგაზრდა, ენერგიული, კომუნიკაბელური, კრეატიული პიროვნება **ლელა უბილავა**. სკოლაში მუშაობენ გამოცდილი მასწავლებლები: დირექტორის მოადგილე **მარინე გერგედავა, ჯულიეტა არქანია, მერი ბერაძე, მანანა პაპიაშვილი, დოდო ხვიჩია, ალდონა კალანდია, ცისკარა ჯანჯღლავა, თეა ნადირაძე, ქეთი გოგიბერიძე, სოსო კიკვაძე, სოფო ქირია, მარიამ არქანია, თეონა ჯგერენაია, ანა ქერაშვილი, ეკა კვენიაშვილი, ია კოტოშაშვილი, ნანული კვეკვესქირი, გიორგი წამალაიძე.**

1998 წლიდან სკოლა ფუნქციონირებს თბილისში, გლდანის I მ/რ-ში (ყოფილი სანატორიუმის – „სიხარულის“ შენობა), 17ა კორპუსში. სასწავლებელმა მუშაობა 17 მოსწავლით დაიწყო, ყოველწლიურად იზრდებოდა მათი რაოდენობა და ახლა იგი უკვე 250 მოსწავლეს ითვლის.

სკოლაში ფუნქციონირებენ შემდეგი განყოფილებები: **საფორტეპიანო, სიმებიანი (ვიოლინო, გიტარა), კლასიკური ვოკალი, საესტრადო ვოკალი, ხატვა, მეტყველების კულტურა, ხალხური საკრავები, კლასიკური გუნდი, ფოლკლორული გუნდი.**

სხვადასხვა განყოფილებაზე ბევრი წარმატებული მოსწავლეა. მათგან გამორჩეულნი არიან: **ლიზი ზარანდია, ანა პაპავა, ელენე შონია, ლიზა გერგედავა, ბექა შველიძე, ნინო ასანაშვილი, საბა ასანაშვილი, საბა დეკანოსიძე, მარიამ გერგედავა, თეკლა ღვინჯილია, სალომე ჭელიძე, თიკო სადაღაშვილი, ვიოლეტა ნაზარეთიანი, ლიზი გაბელია, მელანია-მია ცომაია.**

გამორჩეულ სკოლადამთავრებულთა შორის არიან: **ანა შარია, ქეთევან გუგულაშვილი**. საესტრადო განყოფილებას წარმატებით ხელმძღვანელობს **თეონა ჯგერენაია**. წარმატებულია სკოლის თეორეტიკოსი **მარიამ არქანია**.

სკოლა ყოველწლიურად წარმატებით ასრულებს წლის დასაწყისში დასახულ გეგმებს. მონაწილეობს შიდა თუ საქალაქო ღონისძიებებში, თბილისის მერიისა და აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებულ ფესტივალ-კონკურსებში.

სკოლას მოპოვებული აქვს მრავალი დიპლომი თუ სიგელი, მოსწავლეები კონკურსების ლაურეატები არიან. სკოლა ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო კონცერტებშიც.

სახელმძღვანელოებისა და თვალსაჩინოების რაოდენობის ზრდა; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; მოსწავლეთა და მასწავლებელთა წახალისება.

კონკურსის **„იპოვე შენი ვარსკვლავი“** ორგანიზატორია საქართველოს პროფკავშირული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შემოქმედთა კავშირი (თავმჯდომარე – **სვეტლანა ჩოჩუა**). 2016 წელს სკოლამ უმაღლესი ჯილდო – „ოქროს ვარსკვლავი“ მიიღო, ხოლო 2017 წელს მას სანიმუშო სკოლის წოდება მიენიჭა.

ყოველწლიურად იმართება კლასიკური მუსიკის საღამოები სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რამაც კლასიკური მუსიკით მეტი დაინტერესება გამოიწვია და მოსწავლეთა რაოდენობაც გაიზარდა.

სკოლის მისია, მისი მთავარი ამოცანაა, რომ მოსწავლეებმა მიიღონ მაღალი კულტურული განათლება. ხელი შევუწყოთ მოსწავლის სოციალურ და პიროვნულ ზრდას. შევუქმნათ გარემო, სადაც მოზარდი შეძლებს მაქსიმალურად გამოავლინოს თავისი პოტენციალი და განავითაროს ის. სკოლის მიზანია, მოსწავლეებმა შეიძინონ ჩვევები, რაც მათ საზრიანობისა და კრეატიულობის განვითარებას დაეხმარება. მივცეთ შესაძლებლობა, გამოხატონ ცოდნა და გრძნობები ხელოვნების სხვადასხვა დარგში: მუსიკაში, ხატვაში, მეტყველებაში, სიმღერასა და სხვა.

სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიზნებია: **ინკლუზიური განათლების ხელშეკრულება; შემოქმედებითი ღონისძიებებისა და მიზნობრივი ექსკურსების რაოდენობის ზრდა;**

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ძალ-ღონეს არ იშურებს, რათა მისი მოსწავლეები ერთ-ერთი საუკეთესონი იყვნენ ხელოვნების სფეროში. სწორედ ამიტომაა ხელოვნების სკოლა – **„აფხაზეთი-2“** ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული თავის სფეროში.

სკოლაში მეოთხე წელია დაშ-

გაგრძელება მე-4 გვ.

მე-3 გვერდიდან

ვებულია საგანი მეტყველების კულტურა, რომელსაც ხელმძღვანელობს **თეა ნადირაძე.** მოსწავლეები წარმატებით ასრულებენ დასახულ გეგმებს. ყოველწლიურად ატარებენ სახელობით ღონისძიებებს. მათ შორის იყო 2016 წლის ნოემბერში **გოდერძი ჩოხელის** ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მწერალთა სახლში. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო **გოდერძი ჩოხელის** ლექსები, პროზაული ნაწარმოებები. მუსიკალურად აფორმებდნენ საესტრადო განყოფილების მოსწავლეები. ღონისძიება გააშუქა ტელეკომპანია **„ერთსულოვნებამ“.** სტუმრებს შორის იყვნენ გოდერძი ჩოხელის მეგობრები: პოეტი, მწერალი, ქალბატონი **ნინო ზედელაშვილი,** ჟურნალისტი – ბატონი **დავით ჭელიძე**, პოეტი **მარიამ წიკლაური,** გუდამაყრელი **ადამ ბექაური,** ომის ვეტერანთა ჰოსპიტალის ზოგადი თერაპიის განყოფილების უფროსი, მედიცინის დოქტორი, მწერალი ბატონი **ტარიელ ნამორაძე,** მწერალი **დავით არახამია,** საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე – **ეთერ მათურელი.** ღონისძიების დასასრულს ყველა სტუმარმა წარმოთქვა სიტყვა და ქალბატონმა ეთერმაც გამოთქვა ინიციატივა იმის შესახებ, რომ ეს ბავშვები წაეყვანა გუდამაყარში და ეჩვენებინა მათთვის ის ადგილები, სადაც დაიბადა და გაიზარდა გოდერძი ჩოხელი.

ექსკურსია 2017 წლის 1 ივლისს დაიგეგმა და შედგა კიდეც. იმავე დღეს გაიმართა გოდერძი ჩოხელის საღამო სოფელ კიტოხში მსახიობ **იზა ვეფხვაძის** ხელმძღვანელობით. ესწრებოდა უამრავი სტუმარი. ღონისძიება სკოლის ეზოში ღია ცის ქვეშ ჩატარდა, გუდამაყრის ხეობის გამგებლის **მალხაზ წიკალურის** თანადგომით.

ამ ღონისძიებაშიც მიიღეს მონაწილეობა **„აფხაზეთი-2“**-ის მეტყველების კულტურის განყოფილების მოსწავლეებმა: **კობა მირზაშვილმა, გიორგი შამათავამ, გიორგი გვაძაბიამ, ლაშა შარიამ, საბა გვაძაბიამ, ილია კვესელავამ, ნიკოლოზ ხუბულავამ, დემეტრე ეთერიამ, ლიზი ზარანდიამ, თებროლე ხვიჩიამ, ანდრია ბერაიამ, ანა ბერაიამ** (ეს ბავშვები აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებიდან არიან). წაიკითხეს გოდერძი ჩოხელის ლექსები, პროზაული ნაწარმოებები. ექსკურსია ზემოაღწერილი ღონისძიების თემატური გაგრძელება იყო.

– ქვეყანაში სოციალური სამართლიანობის განმტკიცება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი თაობა გაიზრდება, რას ვასწავლით მათ. ამიტომ პროფკავშირებმა თანაბრად უნდა იმუშაონ სამივე თაობასთან. ბავშვებთან – რომ ისინი სამართლიანები გაიზარდონ, დასაქმებულებთან – რომლებიც ქმნიან ქვეყნის დოვლათს და პენსიონერებთან – ვისი შრომითაც მოვედით დღემდე. სწორედ ამ იდეას ემსახურება დღევანდელი დღეც, – აღნიშნა **ეთერ მათურელმა.** იგი სკოლის კოლექტივს დაპირდა, რომ მსგავსი ექსკურსიები კვალავაც გაიმართება.

2017 წლის ივნისში, მერიის თაოსნობით გაიმართა თბილისის ხელოვნების სკოლების ფესტივალ-დათვალიერება, მასში **„აფხაზეთი-2“** ყველა განყოფილებით წარმოჩინდა.

ჩვენი გაზეთის რედაქცია იმედოვნებს, რომ თბილისში ფუნქციონირებადი ხელოვნების სკოლა **„აფხაზეთი-2“** კვლავაც იქნება გამორჩეული სასწავლო დაწესებულება, წარმატებული მოსწავლეებითა და ღირსეული პედაგოგებით. სკოლის პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეებს ვუსურვებთ, კვლავაც მოწინავეთა რიგებში ყოფილიყვნენ.

რომან მოსეშვილი

სიახლეები 49-ე სკოლაში

სწავლაც, ქველმოქმედებაც

ახალ სასწავლო წელს დიდი იმედებითა და სიხარულით შეხვდნენ დედაქალაქის 49-ე საჯარო სკოლაში. აქ ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ მოსწავლეები ცოდნის სამყაროს ეზიარონ და საფუძვლიანი განათლება მიიღონ. სკოლა მაღალკვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული. სულ 31 პედაგოგია, რომელთა უმეტესობა სერთიფიცირებულია.

49-ე სკოლის დირექტორი გახლავთ გამოცდილი პედაგოგი და შესანიშნავი მენეჯერი **ეკატერინე ცაავა**. იგი ათი წელიწადია ხელმძღვანელია და ამ ხნის მანძილზე სკოლა, ფაქტობრივად, ააღორძინა და სასწავლო პროცესში ბევრი სიახლე განახორციელა. ამჟამად ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და აღჭურვილია თანამედროვე სასკოლო ინვენტარით.

ეკატერინე ცაავა დიდი ხანია განათლების სფეროში მოღვაწეობს. იგი ღვაწლმოსილი პედაგოგების ოჯახიდან არის და, ამდენად, საგანმანათლებლო სფერო, შეიძლება ითქვას, მისთვის მშობლიურია. ქალბატონი ეკა რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და რამდენიმე წიგნის თანაავტორია. წარმატებულ მენეჯერულ საქმიანობას მშვენივრად უთავსებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი სკოლის წამყვანი მასწავლებელი და ევრორეგიონალური უნივერსიტეტის ლექტორია.

ეკატერინე ცაავა: „ჩვენი სკოლა ერთ-ერთი ტრადიციული სასწავლებელია, რომელიც ისტორიულ შენობაშია განთავსებული. იგი 1902 წელს აშენდა, ხოლო 1909 წლიდან კერძო გიმნაზიად გადაკეთდა, რომლის დამაარსებელი გახლდათ გენერალი **ლევანდოვსკი**. ბევრი რამ გაკეთდა; შეიძლება ითქვას, რომ დანგრეული შენობა აღვადგინეთ და განვაახლეთ, სარემონტო სამუშაოები დღემდე გრძელდება. მნიშვნელოვანი ცვლილებები დაინერგა სასწავლო პროცესში, სადაც ბევრი სიახლე შევიტანეთ.

აქტიურად ვთანამშრომლობთ უცხოეთის სხვადასხვა სკოლას. ხელს ვუწყობთ ბავშვთა ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას. სპორტის სახეობებიდან ჩვენთან პრიორიტეტული ჭადრაკია, სადაც მოსწავლეებს კარგი მიღწევები აქვთ. წელს ვაპირებთ ჭადრაკის ფედერაციასთან თანამშრომლობას. ასევე, ხშირად ვსტუმრობთ გაბრიელ ბერის სახელობის უმწეოთა და მოხუცთა თავშესაფარს და ვაწყობთ საქველმოქმედი საღამოებს, საიდანაც სიგელები და მადლობის წერილები გადმოგვეცა. დიდი ყურადღება ეთმობა სხვადასხვა აქტივობას და მოსწავლეთა შემოქმედებით განვითარებას. წინა წლებთან შედარებით, მოსწავლეთა რაოდენობა გაორმაგდა. ამჟამად, 320 ბავშვია, ორი პირველი კლასია, მათში 42 პატარა სწავლობს.

ახალ სასწავლო წელს ბევრი გეგმა და პროექტი გვაქვს განსახორციელებელი სხვადასხვა მიმართულებით. უპირველესად, დიდი ყურადღება დაეთმობა ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობას“.

ჩვენი რედაქცია წარმატებებსა და ახალ გამარჯვებებს უსურვებს სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს.

მზია გოგოძე

მასწავლებლის მოწოდება

(შეგონებანი, რომლებიც ერს უნდა დავივიწყოთ)

მოდით, დამიგდეთ ყური,
ნათქვამს მიიტანთ გულთან,
გადაიფრენენ წლები,
მათ გაფრთხილება უნდა!

მამის ანთებულ კერას,
დედის ჭაღარას წმიდას,
მშობლიურ ამაგს ვფიცავ,
მათ გაფრთხილება უნდა!

სამების წმიდა ტაძარს,
გრემს, იყალთოს თუ ვარძიას,
ყველა კულტურულ კერას,
სად რწმენის შუქი ანთია.

ოთხ სახარებას ღვთიურს,
ენას, მამულს და რგვეულს,
„ქართლის ცხოვრების“ ფურცლებს,
რუსთველის აზრებს ბრძნულს.

მეგობრის მხარში დგომას,
ვის სიახლოვეც გვსურდა,
ოჯახის სიმყუდროვეს –
მათ გაფრთხილება უნდა!

იმ მიტოვებულ კერებს,
სადაც სიცოცხლე დუღდა,
საფლავებს გამომზირალს,
სანთლის ანთება უნდა!

მშობლიურ გრძნობას ნამდვილს,
დედაკაცობის მანდილს,
მამაკაცობის პატივს,
საქმით რთულს, სიტყვით ადვილს.

სიყვარულს, გულში ჩაქარგულს,
წინაპარს, ქვესკნელს ჩაკარგულს,
რაც კი მთშუღლარს შურდა,
მათ გაფრთხილება უნდა!

აღმზრდელს, გზა ვინც გიკვალა,
ქულები ვინაც გითვალა,
ბევრჯერ დასჯასაც შეგპირდა,
მერე კი გულში ატირდა.

მას მზრუნველობა უნდა,
რადგან სიკეთე სურდა,
შენს მომავალზე წუხდა,
კაცი რომ გერქვას მუდამ!

ცია ბორცვაძე,
თბილისის 140-ე საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელი

„არქიმედე“ — ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკიცედ მისიის შესრულებისკენ

ქვეყნისთვის ტექნიკური ინტელიგენციის აღსაზრდელად

– ევრიკა! – შესძახა არქიმედმა და ტიტლიკანა გამოვარდა აბანოდან, როცა აუზში მონებივრეს გონება გაუცისკროვნდა – წყალში ჩაძირული სხეულის კანონი აღმოაჩინა.

ნიუტონმა ვაშლით ნატკენი თავი მოისრისა და დედამიწის მიზიდულობის კანონი დაგვიტოვა.

დიდ ისააკს მანამდეც დასცემიაო თავზე ვაშლიო ვერ ვიტყვით, მაგრამ არქიმედი ზემოთ

ნახსენები კანონის აღმოჩენამდეც რომ ბევრჯელ იქნებოდა აბანოში ნამყოფი, ცხადია, მაგრამ გონება სწორედ მაშინ გაუნათდა, როცა მრავალ ხანს დაძაბული ფიქრისა და ძიებისაგან გონება საამისოდ მომწიფდა. ნიუტონისთვისაც ვაშლი ის ბოლო ბიძგი იყო, რამაც მანამდე დაძაბულად, მიზანმიმართულად მომუშავე მისი ტვინი „მიზიდულობის კანონით გაანათა“.

ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების კერძო სკოლის **„არქიმედეს“** დირექტორს, მათემატიკის დოქტორს, ბატონ **გელა მანელიძესაც** ამ სასწავლე-

ბლის დაარსების იდეა უცებ არ მოსვლია თავში. ეს ქმედება მისი შეგნებული ცხოვრების ლოგიკური შედეგია: დაამთავრა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სკოლა; შემდეგ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და 1983 წლიდან კომაროვისავე სასწავლებელში იწყებს მუშაობას მათემატიკისა და პროგრამირების პედაგოგად. 2004-დან – 2010 წლამდე – დირექტორია. შემდეგ – კვლავ პედაგოგი და რამდენიმე საგანმანათლებლო პროექტის ხელმძღვანელი. 2017 წელს მიენიჭა წამყვანი მასწავლებლის წოდება.

შტრიხი პორტრეტისათვის: სწორედ მისი დირექტორობისას კიდევ ერთხელ (2004 წ.) მოუფრიკინა სახელმწიფოს – ყველა სპეციალიზებულ სასწავლებელს გაუუქმა სტატუსი და ჩვეულებრივ საჯარო სკოლებს გაუთანაბრა. ლამის არალეგალურად ასწავლიდნენ კომაროველებს გაძლიერებულად ტექნიკურ საგნებს! ბატონი გელას თაოსნობით ჩამოყალიბდა სასწავლებლის კურსდამთავრებულთა კლუბი, რამაც ხელი შეუწყო სკოლის განვითარებას და, ერთობლივი ძალისხმევით, 2010 წელს განათლების სამინისტრომ ამ პროფილის სკოლებს აღუდგინა ასე განუსჯელად ჩამორთმეული სტატუსი.

ადამიანმა ცხოვრების მიზნად ქვეყნისთვის ტექნიკური ინტელიგენციის აღზრდა დაისახა და, საამისოდ, ის გზა აირჩია, რაც ასე კარგად შეისწავლა – სკოლა. აი, ასე დაარსდა 2015 წელს „არქიმედე“.

სასწავლებლის მისიაში ეს ცხადადაა ჩამოყალიბებული: „ტექნიკური განათლებით დაინტერესებულ ყმაწვილებს მისცეს მაღალი ხარისხის პროფილური განათლება ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, გაუძლიეროს უმაღლესი საინჟინრო-ტექნიკური დარგების შესწავლის სურვილი. ადრეულ ასაკში გააცნოს სამეცნიერო მუშაობის მეთოდები და განუვითაროს კრიტიკული აზროვნება. დანერგოს უცხო ენების მაღალ დონეზე სწავლება, რაც მოსწავლეებს უცხო ენებზე გამოქვეყნებული სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის გაცნობის საშუალებას მისცემს...“

ანუ, სკოლა, როგორც ითქვა, საქართველოსთვის ტექნიკური ინტელიგენციის – ნებისმიერი ქვეყნის ტექნიკური თუ ტექნოლოგიური პროგრესის შემოქმედთა და წარმმართველთა – მომზადებას ისახავს მიზნად. ისახავს და ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკიცედ მიიწევს მიზნისკენ: სულ ორიოდ წელიწადში შექმნილია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია; შეძენილია ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგია-ანატომიის სასკოლო ლაბორატორიების სრული კომპლექტები; დანერგილია ლეგოს საგანმანათლებლო პროგრამები, შეძენილია ყველა ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო და ლიტერატურა; ბიბლიოთეკაში

თავმოყრილია ელექტრონული საგანმანათლებლო ლიტერატურა; გამოწერილია პერიოდული საგანმანათლებლო ლიტერატურა. სკოლის განვითარების 6 და ერთწლიან გეგმებში ასახულია ყველა ის ღონისძიება თუ მიმართულება, კავშირები, რაც უთუოდ უზრუნველყოფს სასწავლებლის დანიშნულების შესრულებას – ტექნიკურად განათლებული ყმაწვილების აღზრდას, ვინც სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში გაიღრმავებს „არქიმედეში“ მიღებულ საფუძვლიან ცოდნას და ქვეყანას მისთვის აგრერიგად საჭირო სპეციალისტებად მოევლინება, მაგრამ, თუ სახელმწიფომ მათ სათანადო სამუშაო ადგილები არ დაახვედრა, ეს ნიჭიერი ახალგაზრდებიც სხვა ქვეყნების ტექნიკური წინსვლის სამსახურში ჩადგებიან და გაგრძელდება ფარისევლური ვიშვიში ქვეყნიდან ინტელექტის გადინებაზე.

არადა, პირველი წარმატებები სახეზეა: წლეულს პირველად გაიმართა განსხვავებული ოლიმპიადა ფიზიკასა და მათემატიკაში სპეციალურად ფიზიკა-მათემატიკის პროფილის სკოლების მოსწავლეთათვის – „კინგს კვადრატი“. ახალბედა არქიმედელებმა ტოლი არ დაუდეს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის წამყვანი ფიზიკა-მათემატიკის სკოლების

გამოცდილსა და ძლიერ თანატოლთა გუნდებს.

სკოლის გუნდი მონაწილეობდა ახალგაზრდა ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურნირისათვის საქართველოს ნაკრების შესარჩევ ტურში. მზადებისას თეორიულად და ექსპერიმენტულად დამუშავდა ტურნირის რამდენიმე ამოცანა.

უმაღლესი აკადემიური წრეებისა და საჯარო სკოლების დასაახლოებლად, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდა სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე...

მოსწავლეთა ეროვნულ სასწავ-

ლო-შემოქმედებით კონფრენციაში სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოვიდნენ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ინფორმატიკის, ეთნოგრაფიის, რუსულის სექციებში.

ზემოთქმული კი იმის მტკიცე საწინდარია, რომ სკოლა უცილობლად განახორციელებს თავის მისიას.

და ეს რომ ასე იყოს, ცხადია, ყმაწვილებს სათანადო სპეციალისტები უნდა ასწავლიდნენ. სკოლის 32-ე პედაგოგი თავისი საგნის ღრმად მცდონე და მოწოდებით პედაგოგია. მათ შორის მრავალდაა ახალგაზრდა მამაკაცი!

სკოლის საგანმანათლებლო პროცესებს წარმატებით უძღვება დირექტორის მოადგილე, ახალგაზრდა სპეციალისტი **მირიან სახელაშვილი**!

შემოქმედებითად მუშაობს 4-ვე საგნობრივი კათედრა: მათემატიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების (თავმჯდომარე – **ირმა თიკანაძე**); საზოგადოებრივი მეცნიერებისა და სპორტის (**ნინო ტაბატაძე**); უცხო ენების (**ქეთევან ონიანი**); დაწყებითი კლასების (**ნინო შიუკაშვილი**). კათედრები სკოლის ყველა მასწავლებელს აერთიანებს. პედაგოგები კოორდინირებულად წარმართავენ მუშაობას, უზიარებენ გამოცდილებას, იმუშავებენ რეკომენდაციებს დამხმარე სასწავლო მასალებისა და ბიბლიოთეკისთვის საჭირო წიგნების, ახალი მეთოდოლოგიებისა და მიდგომების შესახებ; ერთობლივად ისახება პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები...

მოსწავლეთა ჰარმონიული – გონებრივს პლუს ფიზიკური – აღზრდისათვის სკოლას აქვს ღია სპორტული მოედანი, საცურაო აუზი; იმართება ცურვის, ცეკვის, სიმღერის, ხატვის, ძერწვის გაკვეთილები; კიდევ – მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, აღმოსავლური ორთაბრძოლები.

ამჟამად „არქიმედეში“ 140 მოსწავლეა. 2015 წლის დასაწყისში სულ – ოციოდე იყო. ანუ, იზრდება სკოლით დაინტერესება. ეს, უპირველესად, დირექციის, მთელი პედკოლექტივის დამსახურებაა. გვჯერა, ყოველ სასწავლო წელს იმატებს მოსწავლეთა რაოდენობა და, შესაძლოა, „არქიმედეს“ ახლო მომავალში უფრო დიდი შენობის მონახვამაც მოუწიოს.

მანამდე კი, როგორც ითქვა, სკოლა ნაბიჯ-ნაბიჯ, მტკიცედ, გეგმაზომიერად, მისიის სრული შეგნებით მიიწევს წინ და ქვეყნის ტექნიკურ აღორძინებას უყრის საფუძველს.

კონსტანტინე გურგენიძე

თვითგანვითარება — წარმატებული აღზრდის საწინდარი

„შეუძლებელი არაფერია, განაგრძეთ ფიქრი“

ახალი სასწავლო წლის დაწყებას ვულოცავ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში მყოფ ყველა დაწესებულებას, აღმზრდელებს თუ აღსაზრდელებს. მინდა ყველას ვუსურვო მშვიდობიანი და წარმატებული სასწავლო წელი.

„წარმატებას არ სჭირდება გამართლება, წარუმატებლობას არა აქვს გამართლება“, – ეს არის ჩვენი სკოლის სლოგანი, რის მიხედვითაც მრავალი წელია სკოლაში მოღვაწეობენ ადამიანები, რომლებიც ცდილობენ თითოეული დღე იყოს საინტერესო და ხალისიანი. პედაგოგები გამოირჩევიან ჰუმანურობით და იმ ღირებულებებით, რომლის მიხედვითაც უნდა აღზარდონ მომავალი თაობები. თითოეული მათგანის შრომა ფასდაუდებელია, ადამიანური მადლობა მათ! დილა ფუსფუსით იწყება სკოლაში, რათა რომელიმე მოსწავლეს არ მოაკლდეს მზრუნველობა და სითბო, პასუხიმგებლობით ვეკიდებით ჩვენს საქმეს და ვზრუნავთ თვითგანვითარებაზე. თითოეული ჩვენგანის განვითარება ხომ წარმატებული მომავალი თაობის აღზრდის საწინდარია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით, სკოლას ჰყავს ფასილიტატორების ძლიერი ჯგუფი: **მარიამ ჭავჭავაძე, ირმა შველიძე, რუსუდან ჩხიკვაძე, ხათუნა ვასაძე,** რომლებიც მუდმივად ეხმარებიან მასწავლებლებს სქემის მიხედვით სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და თითოეული დეტალის განხილვაში.

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალების სისტემა. იგი პირველივე წლიდან იყო ჩართული საპილოტე პროგრამაში პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის გაკვეთილებში, რასაც წარმატებით ახორციელებს ისტორიის პედაგოგი **მაია ბეჟანიშვილი**. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლაში ისწავლება ყველა სავალდებული საგანი და არჩევითი საგნები. სკოლაში სწავლობს 6 სპეციალური განათლების საჭიროების მოსწავლე. მათს განვითარებაზე დიდი პროფესიონალიზმით ზრუნავს სპეცპედაგოგი **ანა ჯუღელი.**

ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო სახელმძღვანელოებით. წიგნები მოსწავლეებს დაურიგდათ დროულად და ხარისხიანად, რისთვისაც მადლობას ვუხდით სკოლის ბიბლიოთეკარს **თეა სადილიანს.**

აღსანიშნავია, რომ 31-ე სკოლა ჩართულია თავისუფალი გაკვეთილების პროექტში **„ფულზე მეტი“.** გაზაფხულიდან დაიწყო ინიციატივა სკოლის გაძლიერებისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, პროექტს **„ინიციატივა – სკოლის გაძლიერებისთვის“** ახორციელებს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. პროექტის დამფინანსებლები არიან: ჩეხეთის განვითარების სააგენტო, პარტნიორები – ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია People In Need, განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროები. პროექტის მიზანია, სკოლებში პოზიტიური გარემოს შექმნისთვის ხელშეწყობა, ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეშვეობით. პროექტი დიდი წარმატებით მიმდინარეობს დღემდე.

დედაქალაქის მერიის მიერ შემოთავაზებულ პროექტებს სკოლა მუდმივად ადევნებს თვალს და ცდილობს ჩაერთოს სხვადასხვა პროექტში. მაგალითად, **„კრიტიკული, ანალიტიკური და კრეატიული უნარების განვითარების პროგრამა სკოლის მოსწავლეებისთვის“**. ასევე, სკოლა ჩართულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ მეტად საინტერესო პროექტში **„განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა, ტრანზიტული საგანმანათლებლო პროგრამა მიუსაფარი ბავშვებისთვის“.** პროექტს ახორციელებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი; ხელმძღვანელი – **ნინო თოდუა.** აღნიშნული პროექტი ძალზე საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა მოსწავლეებისათვის, რომლებმაც, საქართველოს მასშტაბით, პირველ ათეულში შეძლეს მოხვედრა. პროექტში ჩართულნი იყვნენ როგორც სკოლის მოსწავლეები, ასევე სკოლის დირექტორი. მოსწავლეები: **ქეთა კოხტაშვილი, ბარბარე მირინაშვილი, თამარ საბაური, ირაკლი გოგუაძე, დავით ბერიაშვილი, ნინო მახნიაშვილი, გიორგი ბაქრაძე, ნია ნატროშვილი, ხატია ლაკლაკიშვილი.** პროექტი გრძელდება. მის ფარგლებში იგეგმება ახალი სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარება. მოსწავლეებმა იმუშავეს გლობალურ და თემში არსებულ პრობლემებზე. პროექტის ხელმძღვანელებს დიდი მადლობა, ვინაიდან მათი დამსახურებაა მოსწავლეების წარმატება.

სკოლა მდებარეობს ძველი თბილისის ტერიტორიაზე. შენობა აგებულია 1929 წელს. სკოლა 1950 წლიდანაა აქ.

შენობა არასტანდარტულია დიდი ფართო დერეფნებითა და საკლასო ოთახებით. ინფრასტრუქტურა და გარემო მოსწავლეების უსაფრთხოებასა და კომფორტული გარემოს შესაბამისობაშია, ცენტრალური გათბობით და ყველა იმ პირობით, რაც მოსწავლეს და მასწავლებელს უწყობს ხელს ნაყოფიერი მუშაობისთვის. სკოლას ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ დირექტორობისთვის შესაფერისი ადამიანები. მათი ღვაწლიც ფასდაუდებელია. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო, ყველა თაობის სახელით.

დირექტორი გახლავართ 2005 წლიდან. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა და შეიცვალა. მყავს შესანიშნავი კოლექტივი და გუნდური პრინციპით ვმუშაობთ. დირექტორის მოადგილეა **სოფიკო ჯანაშია,** სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე დაწყებითი საფეხურის მოსწავლის მშობელი – **თამარ ოდელაძე.**

31–ე საჯარო სკოლა ბევრი ტრადიციიის მატარებელია, ცდილობს შეინარჩუნოს მოპოვებული ღირსებები და იზრუნოს განვითარებაზე. 30 წელზე მეტია ისწავლება თურქული ენა მეზობელ ქვეყანასთან კეთილგანწყობის ნიშნად. თურქული ენის სწავლება მიმდინარეობს ყველა საფეხურზე, რაც გვაძლევს საშუალებას რომ ყოველწლიურად მოსწავლეები გაცვლითი პროგრამებით გავგზავნოთ თურქეთში სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. 2016 წელს ქალაქ კაისერში მერიის ორგანიზებით ჩატარებულ მოსწავლე-ახალგაზრდობის თეატრალურ ფესტივალში ჩვენმა სკოლამ გაიმარჯვა ყველა ნომინაციაში 24 ქვეყანას შორის. დამეგობრებულები ვართ ქალაქ ორდუს ლიცეუმთან, საიდანაც სკოლაში ჩამოსული იყო დელეგაცია სტუდენტებთან ერთად, დაიდო მემორანდუმი სკოლასა და ლიცეუმს შორის. ხშირად ვსტუმრობთ თურქეთის ელჩთან. მათი მხრიდან არის მზაობა სკოლას დაეხმარონ როგორც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში, ისე წიგნებით უზრუნველყოფაში.

სკოლა ცდილობს სიახლეებით შეხვდეს ყოველ ახალ სასწავლო წელს. მივიღეთ 70 პირველკლასელი. სწავლობს სულ 760 მოსწავლე. მუშაობს 50 პედაგოგი, სრულად სერთიფიცირებულია 14 პედაგოგი, სკოლაში არის 7 საგნობრივი კათედრა. 2017 წლის სკოლადამთავრებულთა შორის არიან მოსწავლეები, რომლებმაც დიდი წარმატებით ჩააბარეს KATE-ს გამოცდები და მოიპოვეს 100% გრანტები. **თამარ ვარდანიძე, ქეთევან სოხაძე, ნინო მამათავრიშვილი, ირაკლი კოლხიდაშვილი**. დამრიგებელი **ირმა შველიძე**, რომლის დიდი წვლილია ამ ბავშვების წარმატებაში. სასკოლო ეროვნულ ოლიპიადებში სკოლა აქტიურად მონაწილეობს, ჰყავს გამარჯვებულიც: **გიორგი ჯავახიშვილი, ქეთევან სოხაძე.**

სკოლა ცდილობს მიიღოს მონაწილეობა ყველა შემოთავაზებულ პროექტში სადაც ხედავს მოსწავლის განვითარებას; აქტიურად ვთანამშრომლობთ თსუ-ს საბავშვო უნივერსიტეტთან, მოსწავლეები ესწრებიან საჯარო ლექციებს. თსუ-მ საუკეთესო მსმენელად დაასახელა და დააჯილდოვა ჩვენი სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე **ბაია ლეკიაშვილი**. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს თსუ-ს გეოგრაფიის კათედრასთან, გამოდის კონფერენციებში, აწყობენ ლაშქრობებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით სკოლის გეოგრაფიის პედაგოგებს **დარეჯან დობაძიშვილსა** და **ქეთევან რაზმაძეს.** სკოლას დიდი წარმატება ჰქონდა სპორტულ ოლიმპიადებში. გოგონების ფეხბურთში ჩემპიონები ვართ, რისთვისაც მადლობა სპორტის მასწავლებელს **ბადრი ფიფიას.** თვითმმართველობის მხრივ აქტიურობის და სხვადასხვა კონკურსის მიხედვით, პირველ ადგილზე ვართ. თვითმმართველობის თავმჯდომარეა **კალენიკე ურიდია**. შექმნილია სასკოლო კლუბები და მათში ბევრი მოსწავლეა გაერთიანებული. მეზობელი საჯარო სკოლის სასკოლო კლუბის მიერ კალათბურთში ჩატარებულ ჩემპიონატში პირველი ადგილი აიღო. ვთანამშრომლობთ მეზობელ სკოლებთან. ჩატარდა რამდენიმე აქცია: „ნარკოტიკების და თამბაქოს საწინააღმდეგო“, კანონის დაცვის საზოგადოებამ ჩაატარა აქცია **„დაუთმე გზა ქვეითს“,** სასკოლო კლუბები მონაწილეობენ საქველმოქმედო ღონისძიებებში, ეხმარებიან მიუსაფარ ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლებს (პროდუქტით და ტანსაცმლით). ამ პროექტის ორგანიზატორები არიან **აკაკი** და **თამარ მედულაშვილები.**

სკოლაში მოსწავლეების ჯანმრთელობაზე ზრუნავს პროფესიონალი ექიმი **თამარ ლომიძე.** სამედიცინო კაბინეტი სრულად აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. სკოლის უსაფრთხოებაზე ზრუნავს სამი მანდატური: **მაკა ძაგოევა, თეონა ლობჟანიძე** და **მარიამ ზანიერი,** მადლობა მათ, ვინაიდან მათი დამსახურებაა სკოლაში უსფრთხო გარემოს შექმნა.

გაგაცნობთ კლასების ხელმძღვანელებს: **ნინო გოგოლაძე, ხათუნა ოდელაძე, თეა ჯანაშია, ხათუნა გუგუციძე, ქეთევან მეგრელიძე, მზია ბექაური, თეა ბერიძე, რუსუდან ჩხიკვაძე, ეკა ხაბურზანია, ნათია კაპანაძე, სულიკო შეყილაძე, მარიამ ჭავჭავაძე, ჟუჟუნა გოგოჭური, ირმა შველიძე, რუსუდან ფაცხალაძე, ლელა დაფქვიაშვილი, თეა ბზიშვილი, სოფიო ნადირაშვილი, სილვა ქველაძე, ეკა ბარნაბიშვილი, მანანა ახვლედიანი, სისო სისაური, ბადრი ფიფია, თამარ ბუჩუკური, თინათინ კილაძე, დარეჯან დობაძიშვილი, მარინე კიკნაძე, რუიზან ვათიაშვილი, მაია ბეჟანიშვილი**. კათედრების ხელმძღვანელები არიან: **ქეთევან გულიაშვილი** (ქართული), **ნაზი ვარამაშვილი** (მათემატიკა), **მანანა დოლიძე** (ხელოვნება), **გელა კამკამიძე** (სპორტი), **ნანა ნებიერიძე** (უცხო ენა), **ნინო სურმავა** (საბუნებისმეტყველო), **ეკა ბარნაბიშვილი** (ისტორია).

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებითა და სკოლის სახელით მადლობა ვუთხრა ღვაწლმოსილ პედაგოგს **როზი კორძაიას,** რომელმაც 50-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის შემდეგ გადაწყვიტა კუთვნილ დასვენებაზე გადასვლა, ღირსეულად დაემშვიდობა სკოლას და მოსწავლეებს. ქალბატონი როზის ნამოღვაწარის შეფასება თაობებისთვის მიმინდვია, ვინაიდან მისი ღვაწლი უკიდეგანოა 31–ე საჯარო სკოლისთვის. მადლობა, ქალბატონო როზი!

დასასრულს, აღვნიშნავ, რომ 31-ე საჯარო სკოლა მუდვიმ რეჟიმში განაგრძობს განვითარებას. ვისურვებდით კონკურენტუნარიან გარემოში მუშაობას, რათა მეტი სტიმული გვქონდეს წარმატებისთვის. მოგეხსენებათ, წარმატებულია სკოლა, თუ მას ჰყავს წარჩინებული მოსწავლეები და პროფესიონალი პედაგოგები.

მადლობა ყველას, ვინც ჩართულია სკოლის ცხოვრებაში, განსაკუთრებით კი – მშობლებს, მათი თანადგომა, მადლიერება და შენიშვნები, უფრო მეტ ენერგიას და სტიმულს გვაძლევს.

ჩვენ, მთელი კოლექტივი, მომავლისკენ სვლას არ ვანელებთ, ვვითარდებით და ველოდებით ახალ გამოწვევებს.

„შეუძლებელი არაფერია, განაგრძეთ ფიქრი“.

მარინა ნიჟარაძე,

თბილისის 31-ე საჯარო სკოლის დირექტორი

149-ე საჯარო სკოლა — წინსვლის ორიენტირი

მიღწეულით არ კმაყოფილდებიან

ემოციებით აღსავსე, ლამაზად გამოწყობილი გოგო-ბიჭები, მათი მშობლები და მასწავლებლები ახალი სასწავლო წლის დაწყებას ზეიმობენ. განსაკუთრებით პირველკლასელები ღელავენ. წელს თბილისის 149-ე საჯარო სკოლაში ინფრასტრუქტურის სააგენტომ 2 პროექტი დააფინანსა – გათბობის სისტემის რეაბილიტაცია და შენობის დასრულების სამუშაოები. შეკეთდა სველი წერტილები,

I კლასის დამრიგებელი — მარინე კბილაშვილი

ექიმის ოთახი. სკოლის საძირკველში წყალი ჩადიოდა, ამიტომ ასფალტის საფარი ისე დაიგო, რომ პრობლემა მოგვარებულიყო. მართალია, ეზოში სამუშაოების დასრულება სწავლის დაწყებამდე ვერ მოხერხდა, მაგრამ დირექციამ შესაფერისი გარემოს შესაქმნელად ყველაფერი იღონა. განსაკუთრებული ორიგინალური გაფორმებით გამოირჩეოდა პირველკლასელთა საკლასო ოთახების კარები, რომელთა მიღმაც მათთვის ახალი სამყარო გადაიშალა. წელს სკოლაში 4 პარალელური პირველი კლასია. სულ კი 839 მოსწავლის სწავლა-აღზრდის პროცესს 49 პედაგოგი უძღვება, რომელთა 50%-ზე მეტი უფროსი მასწავლებლის სტატუსითაა.

მესამე წელია თბილისის 149-ე საჯარო სკოლას სათავეში უდგას დირექტორი **ნანა ჯუღელი.** ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის (ფრანგული ენის სპეციალობით) დამთავრების შემდეგ, 1975 წლიდან განათლების სისტემაში მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობაზე და დირექტორად მუშაობის გამოცდილებაც საკმაოდ დიდი აქვს. ქალბატონმა ნანამ აღნიშნა, რომ გასული სასწავლო წელი მათთვის ძალიან ნაყოფიერი იყო. დედაქალაქის მერიის პროექტი – **„თბილისი უსაფრთხო ქალაქი“** – იყო პირველი პროექტი, რომელშიც ამ სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები მონაწილეობდნენ და გაიმარჯვეს. ჰყავთ ეკოლოგიის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული მოსწავლე **შორენა ჯანჯღლავა** (პედაგოგი **ოლღა ბანცური**), რომელმაც ფულადი ჯილდო და ბანაკში დასვენება დაიმსახურა. სიახლე იყო ისიც, რომ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული წლიური გამოცდები შარშან მე-6, მე-9 და მე-10 კლასებში ჩაატარეს. შედეგად, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონის ასამაღლებლად, საჭიროა ნიშნის წერის ობიექტურობის დახვეწა, კრიტერიუმების დადგენა ისე, რომ მოსწავლე არ წააწყდეს ისეთ წინააღმდეგობას, როცა ჰგონია, რომ იცის ძალიან კარგად და სინამდვილეში ასე არ არის. ეროვნული სასწავლო გეგმით, ერთ კლასში მხოლოდ 2 საგანში შეიძლება წლიური გამოცდის ჩატარება. ასევე, 2 წლის განმავლობაში იგივე საგანში არ უნდა განმეორდეს გამოცდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, პედსაბჭოს გადაწყვეტილებით, წლევანდელ გეგმაში წლიური გამოცდების რაოდენობა მე-5-დან – მე-10 კლასების ჩათვლით გაიზარდა.

„ჩემი ძირითადი მიზანი მასწავლებლებთან მუშაობაში არის ის, რომ შეძლონ კოლექტიური

მუშაობა, ჯანსაღი კონკურენცია. კოლეგამ იზრუნოს კოლეგის წარმატებაზე, ეს ძალიან კარგია, თუმცა ძნელად მიღწევადი. მაგრამ ეს არის მათთვის პროფესიული ზრდის დიდი საშუალება“, – აღნიშნა ქალბატონმა ნანამ. ამ მხრივ, დიდ სამუშაოს ასრულებენ სკოლაში ფასილიტატორები, ადამიანები, რომლებსაც ჭკუას ეკითხებიან, მათ გამოცდილებას იზიარებენ – **ნინო ბერძენიშვილი** (ბიოლოგია), **მარინე არევაძე** (ხელოვნება), **ლალი ლაცაბიძე** (დაწყებითი კლასები). სკოლაში ყველა ღონისძიებისა თუ პროექტის განხორციელებაში, მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის ამა თუ იმ პრობლემის მოგვარებაში, დირექტორს მუდამ გვერდით უდგანან მოადგილეები – **მაგული ღვინჯილია** და **თინა გოგრიჭიანი.**

აქტიურად არიან ჩართული სკოლის ცხოვრებაში მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები (თავმჯდომარე – **ჯულია კახნიაშვილი**). წელიწადში ერთხელ, მათი ინიციატივით, დირექტორთან ერთად, იმართება თვითმმართველობის დღე, როცა მოსწავლეები თავად არიან დირექტორიც, მოადგილეც, მასწავლებლებიც და ერთმანეთთან თანადგომით ატარებენ გაკვეთილებს, მართავენ სკოლას. ეს მათთვის სასიამოვნო დღეა და დიდი ხალისითა და მონდომებით ემზადებიან ხოლმე.

„სკოლა მიდის უკეთესობისკენ, მაგრამ მიღწეულით არასდროს ვკმაყოფილდები, სულ რაღაც ახლის ძიებაში ვარ“ – აღნიშნავს **ნანა ჯუღელი** და ჩვენც ახალი სასწავლო წლის წარმატებებზე სხვა დროს მოგითხრობთ.

ნათია გუგუნავა

მრავალმხრივად, შემოქმედებითად

ცრადიციულ სკოლაში ცრადიციული წარმატებებია

დიდი ტრადიციების და მრავალი წარმატებული ადამიანის აღმზრდელი თბილისის 30-ე საჯარო სკოლა ერთ-ერთი საუკეთესოა დედაქალაქის უძველეს უბანში. ეს ის ცოდნის ტაძარია, სადაც ბავშვი უნდა აღიზარდოს, პიროვნებად ჩამოყალიბდეს და ყმაწვილობის საუკეთესო წლები გაატაროს. წლები წლებს მიჰყვებოდა... ამ კედლებში ჩამოყალიბებული პედაგოგიური ერთობა კი არ ირღვეოდა, ხელმძღვანელებშიც უმართლებდათ. თავის საქმეზე შეყვარებულ კოლექტივს ღირსეულად დაუდგა გვერდით დირექტორი **ნინო ჩიქოვანი.** მომხიბვლელი ქალბატონი ერთობ სასიამოვნო მოსაუბრე, განათლებული და შესანიშნავი პიროვნება აღმოჩნდა. „მას ყველას სიხარული უხარია“, „სიკეთის ქმნისთვის არის დაბადებული“, „ერთდროულად მკაცრიც არის და ძალიან თბილიც“, „მაგრამ ობიექტურია“... ეს სიტყვები მესმოდა, გაკვეთილების შემდეგ, ეზოში შეკრებილი მოსწავლეებისგან. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, მუშაობა კალათბურთის სპეციალიზებულ 58-ე საშუალო სკოლაში დაიწყო, სადაც 15 წელი ასწავლიდა. 2007 წელს, დირექტორთა გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ, ამ სკოლაში კოლექტივმა უკვე 2-ჯერ გამოუცხადა ნდობა. ქალბატონი ნინო აღნიშნავს, რომ აქ მშვიდი, ჰარმონიული გარემო, მეგობრული, ჯანსაღი კოლექტივი და კოლეგიალური დამოკიდებულებაა. შესანიშნავ ხელმძღვანელს მოადგილეც ასეთივე ჰყავს – **შორენა დათიაშვილი** დირექტორის მარჯვენა ხელია.

სასწავლო ეროვნული გეგმის გათვალისწინებით, სიახლეთა ძიებაში არიან და ცოდნის დონის ასამაღლებლად აქტიურად მუშაობს სკოლის კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის, ხელმძღვანელი – **ეთერ რუსიეშვილი**, მათემატიკის – **გიორგი კალანდაძე**, უცხოური ენების – **გიული გრძელიძე**, დაწყებითი კლასების – **მარინე ნოზაძე**, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – **თამარ ჩიქოვანი**, საზოგადოებრივი მეცნიერებების – **მაია ჩაჩუა**, სპორტი და ესთეტიკური აღზრდის – **ეკა შარაშიძე.**

განათლების სისტემაში შემუშავებულმა სქემამ მასწავლებელი ბევრ რამეზე დააფიქრა. მან უნდა შეავსოს თვითშეფასების კითხვარი, აღნიშნოს, რისი გაკეთება შეძლო და მომავალში რა უნდა გამოასწოროს. სკოლაში უნდა იყოს ჯანსაღი კონკურენცია, გაიზარდოს ლიდერ მასწავლებელთა რიცხვი. სწორედ ამ მიზანს ემსახურებიან ფასილიტატორები – **ლელა ნოზაძე** (ქიმია-ბიოლოგია) და **მაია ჩაჩუა** (გეოგრაფია).

წელს სკოლაში 515 მოსწავლეა და, სხვა წლებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ერთი პირველი კლასია (კლასის ხელმძღვანელი – **ელზა კოჭლამაზაშვილი**).

მომავალ თაობას მშობლიური ენისა და ლიტერატურის მადლს აზიარებენ, მეცნიერებათა საფუძვლების დასაუფლებლად და ყმაწვილებში მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნავენ უფროსი მასწავლებლები: **ნანული აბურჯანია, ეთერ რუსიეშვილი, ცინარ ხუციშვილი** – ქართული ენა და ლიტერატურა; **მარადი ქვაჭრელიშვილი, ეკა გამცემლიძე** – მათემატიკა; **მაკა ლაბუჩიძე, მზია სარდალაშვილი** – ინგლისური; **ინგა კანდელაკი** – რუსული; **მანანა შველიძე** – ისტორია; **ლელა ნოზაძე** – ქიმია, ბიოლოგია; **დარეჯან ცინცაძე** – ბუნებისმეტყველება; **გიული ბროძელი, ლელა ცხადაძე, მარინა ნოზაძე** – დაწყებითი კლასები.

სკოლაში დასრულდა **„მომავლის თაობის“** სამწლიანი პროექტი სამოქალაქო განათლების კუთხით, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მოსწავლეებიცა და მასწავლებლებიც. ჰქონდათ აქტივობები, აკეთებდნენ პრეზენტაციებს, მონაწილეობდნენ ღონისძიებებში, სმენადაქვეითებული ბავშვებისთვის ჩაწერეს კლიპი;

მონაწილეობდნენ კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გამგეობის ეგიდით ჩატარებულ სპორტულ ღონისძიებებში და მოიპოვეს გამარჯვებულის თასები; ჰყავთ **„კინგსის“** ქართული ენის ოლიმპიადის გამარჯვებული მოსწავლე **მარიამ ნაკაშიძე,** რომელიც პირველ ხუთეულში გავიდა საქართველოს მასშტაბით, როგორც საუკეთესო ესეს ავტორი;

სკოლაში ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რომლის ხელმძღვანელი, ბუნებისმეტყველების პედაგოგი **დარეჯან ცინცაძე,** ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეიმეცნონ ჯანსაღი გარემოს მნიშვნელობა.

დირექცია წარმატებულ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს წიგნების ვაუჩერებით აჯილდოებს, სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულ ბავშვებს კი ექსკურსია დაუფინანსა და სხვადასხვა ფორმის დახმარება გაუწია იმ ფულადი თანხიდან, რომელსაც, ამ სკოლის კურსდამთავრებული ბატონი **დავით საგანელიძე**, ქველმოქმედების სახით, ურიცხავს სკოლას.

ახალ სასწავლო წელს წარმატებები ვუსურვოთ კეთილი ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლებს.

ნათია გურგენიძე

სქესიმბრის ფერები, ანუ პოეტური ნოხაითი პაუერებს

ნინო ნიყარაძე

ქალბატონი ნინო ნიყარაძე ერთიან ჰრიდუქტიული და ნიჭიერი სამაგვშვი ჰიეტი გახლავთ. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება მისი საოცარი სითბოთი გამთბარი, ჰაფარების სიყვარულით შთაგონებული ლექსები. ამჯერადაც გთავაზობთ მის შესანიშნავ ახალ სამაგვშვო ლექსებს.

„დედაენის“ ბაღში

– თამაშობა მინდა,
ვერ ვჩერდები სახლში.
წავალთ მე და პაპა,
„დედაენის“ ბაღში.

ერთად

წავიდნენ ერთად
პაპა და ლუკა.
მუსიკა ბაღში
უკრავს და უკრავს.
ბავშვები ადიან
ხელთვნურ მთაზე,
რომელსაც ნელა
ნიავი აბერწევს.
არა, არ მეშინია,
გადავდგი წინ ნაბიჯი,
მე მაგარი ვარ, გულადი
ნაღდი ბიჭი ვარ, ბიჭი!

სოფელში

– სოფლად უნდა წავიდეთ,
ბებოს მოაქვს წამალი,
პაპამ უნდა მიყიდოს
დედალი და მამალი.
– მამალს უყვარს ყივილი,
გაათენებს დილას,
დედალი კი კვერცხს დადებს,
ამიტომაც მიგვყავს.

საჩუქარი

– აბა, მითხარ ახლა,
რა გიყიდა პაპამ?
ქუდები და „ბოტები“
შორტები და ჩანთა.
– როცა გავიზრდები
და კაცი დავდგები
ანანასს და ბანანს
ჩამოვუტან გემით.

გვინდა მშვიდობა

ტელევიზორი ჩართეს და გვიჩვენეს,
ფილმები ცეცხლით და ომებით,
იბრძვიან, სისხლს ღვრიან, სახლს წვავენ,
დარბიან თოფით და ბომბებით.

– არ გვინდა, გამორთეთ! – აყვირდა ბებია,
ჩვენ გვინდა სიცოცხლე, მშვიდობა,
გვიყვარდეს ბუნება, მზრუნველი დედ-მამა,
ჩვენი სამშობლო, ენა და ზრდილობა.

ო, რა ლედვია, რა ლედვი!

– ახლა რა ვაკეთოთ? –
კითხულობს ლუკა,
– არ მინდა სავარძელში
ჩაჯდომა უქმად.
– კალიასავით მე მინდა ხტომა,
ჩიტუნასავით მავთულზე ჯდომა.
– მოდი და ახლა ავიდეთ ლედვზე,
დახუნძლულია ნაყოფით ბედზე.
თან რა ტკბილია, წითლად ბირღია,
ძირს დავარდნილი არ ამიღია.
გვიწვევს ავიდეთ ხეზე და ვკრიფოთ,
მისი სიტკბოთი კარგადაც ვიყოთ.
ბებო ვერ ბედავს დიდ ხეზე ასვლას,
– ნუ გეშინია, ავიდეთ მაღლა!

დაბადების დღე

– პაპას დაბადების დღეს,
რა მივართვა, ნინო?
– ვიცი, ძალზე უყვარს,
ლობით და ღვინო!

წიგნი

მოუტანეს წიგნი,
ჩემს დაიკო ანასა.
– მალე წავალ სკოლასი,
ვსწავლობ ანა-ბანასა!

მადლობის წერილი

უღრმეს მადლობას ვუხდი ქ. თბილისის 131-ე ბაგა-ბაღის დირექტორს ქალბატონ **აქსანა ჯვარშეიშვილს** გულთბილი მიღებისათვის და, აგრეთვე, ამჟამად დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, შესანიშნავ ქალბატონს – **თამილა ნინიაშვილს**, ბაგა-ბაღის მთელ კოლექტივს, იმ გულთბილი მიღებისა და თანადგომისათვის, რაც მათ ჩემს მიმართ გამოიჩინეს ჩემი ბაგა-ბაღში მუშაობის დაწყების დღიდან.

პატივისცემით, სპეცპედაგოგი
მარინე გურასპაშვილი



გაზეთ „**სახალხო განათლება+**“-ის რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კოლეგის, მწერლისა და პოეტის, კრიტიკოს
ალეკო გაგელაიას
გარდაცვალების გამო.
თანაგრძნობას უცხადებს ოჯახსა და მის ნათესავ-მეგობრებს.

გაზეთ „სახალხო განათლება+“ ის რედაქცია

2017-2018 სასწავლო წლის კალენდარი

კვირის დღეები	სექტემბერი					ოქტომბერი					ნოემბერი					დეკემბერი					იანვარი					თებერვალი				
ორშაბათი		4	11	18	25	2	9	16	23	30	6	13	20	27		4	11	18	25		1	8	15	22	29		5	12	19	26
სამშაბათი		5	12	19	26	3	10	17	24	31	7	14	21	28		5	12	19	26		2	9	16	23	30		6	13	20	27
ოთხშაბათი		6	13	20	27	4	11	18	25		1	8	15	22	29	6	13	20	27		3	10	17	24	31		7	14	21	28
ხუთშაბათი		7	14	21	28	5	12	19	26		2	9	16	23	30	7	14	21	28		4	11	18	25		1	8	15	22	
პარასკევი	1	8	15	22	29	6	13	20	27		3	10	17	24		1	8	15	22	29	5	12	19	26		2	9	16	23	
შაბათი	2	9	16	23	30	7	14	21	28		4	11	18	25		2	9	16	23	30	6	13	20	27		3	10	17	24	
კვირა	3	10	17	24		1	8	15	22	29	5	12	19	26		3	10	17	24	31	7	14	21	28		4	11	18	25	

კვირის დღეები	მარტი					აპრილი					მაისი					ივნისი					ივლისი					აგვისტო				
ორშაბათი		5	12	19	26	2	9	16	23	30		7	14	21	28		4	11	18	25		2	9	16	23	30		6	13	20	27
სამშაბათი		6	13	20	27	3	10	17	24		1	8	15	22	29		5	12	19	26		3	10	17	24	31		7	14	21	28
ოთხშაბათი		7	14	21	28	4	11	18	25		2	9	16	23	30		6	13	20	27		4	11	18	25		1	8	15	22	29
ხუთშაბათი	1	8	15	22	29	5	12	19	26		3	10	17	24	31		7	14	21	28		5	12	19	26		2	9	16	23	30
პარასკევი	2	9	16	23	30	6	13	20	27		4	11	18	25		1	8	15	22	29		6	13	20	27		3	10	17	24	31
შაბათი	3	10	17	24	31	7	14	21	28		5	12	19	26		2	9	16	23	30		7	14	21	28		4	11	18	25	
კვირა	4	11	18	25		1	8	15	22	29	6	13	20	27		3	10	17	24		1	8	15	22	29		5	12	19	26	

უქმე დღეებია:

14 ოქტომბერი (შრომის კოდექსი)	9 აპრილი (შრომის კოდექსი)
23 ნოემბერი (შრომის კოდექსი)	06.04-დან 09.04-ის ჩათვლით (შრომის კოდექსი)
30.12-დან 14.01-ის ჩათვლით (მინისტრის ბრძანება №88/ნ 15.07.2014 წ)	9 მაისი (შრომის კოდექსი)
19 იანვარი (შრომის კოდექსი)	12 მაისი (შრომის კოდექსი)
3 მარტი (შრომის კოდექსი)	26 მაისი (შრომის კოდექსი)
8.03-დან 14-03-ის ჩათვლით (მინისტრის ბრძანება № 127/ნ. 30.12.2016)	

სასწავლო დღეებია:

I სემესტრში 75 სასწავლო დღე

II სემესტრში 101 სასწავლო დღე (I კლასისთვის 86, ხოლო მე-12 კლასისთვის 81 სასწავლო დღე)

სულ 176 სასწავლო დღე (I კლასისთვის 161 და XII კლასებისთვის 156 სასწავლო დღე)

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე,
პასუხისმგებელი რედაქტორი
კონსტანტინე გურგენიძე

სახალხო განათლება+ № 14 (4553)
27 სექტემბერი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113
9 771987 911009